ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№3 (36) მაისი, 2005 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ სირაძე: „მე სამივე კუთხის — რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის ინტერესების დაცვა მევალება“...

დაიბადა 1975 წლის 7 აგვისტოს, ქალაქ ამბროლაურში. 1992 წელს დამთავრა ამბროლაურის საშუალო სკოლა წარჩინებით. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1997 წელს ეკონომიკური ურთიერთობათა მენეჯერის კვალიფიკაციით. სწავლა განაგრძო თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში. გამომცემლობა აქვს წიგნი „სახელმწიფო ქონების მართვა-პრივატიზება და ნორმატიული დოკუმენტები“. აქვს ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მუშაობას ასრულებს დისერტაციაზე. მუშაობდა შპს „ლაპა“-ში სხვადასხვა თანამდებობებზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დირექტორის მოადგილედ. 2002 წლიდან ქონების მართვის სამინისტროში, მინისტრის თანაშემწედ, ერთერთი სამსახურის უფროსად, აპარატის უფროსად. 2003 წლიდან საწარმოთა მართვის საგენტოს აპარატის უფროსად. 2004 წლიდან შპს ეროვნული ზარაფხანის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. 2005 წლიდან საქართველოს მთავრობის რეგიონალური პოლიტიკის კოორდინაციისა და განსაკუთრებულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. 2005 წლის აპრილიდან პრეზიდენტის რწმუნებულია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

—პირველ რიგში, რადგან ჟურნალისტის და რესპოდენტის ამპლუაში პირველად შეხვედით ერთმანეთს, ჩვენი გაზეთის სახელით მოგილოცავთ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორად დანიშვნას, გისურვებთ წარმატებებს!– და აქვე გკითხავთ, რა არის თქვენთვის ეს თანამდებობა—წარმატება კარიერაში თუ დიდი პასუხისმგებლობა?

—ამ თანამდებობით მე რეალურად მეძლევა საშუალება ჩემი კუთხისათვის გავაკეთო უფრო მეტი, როგორც რიგითი ამ კუთხის შვილი, პირველ რიგში ვალდებულად ვთვლი თავს ჩემი კუთხისთვის გავისარჯო, დაეცვა ამ რეგიონის მოსახლეობის ინტერესები, გავაკეთო იმდენი სასიკეთო საქმე, რომ ჩემი სახელი დარჩეს რეგიონის ისტორიაში. რაც შეეხება კარიერას, მე არ განვიხილავ ამ თანამდებობას, როგორც კარიერულ წარმატებას, თუმცა ერთ-ერთი ეტაპი კი არის. უნდა დავსძინო, რომ მე საკმაოდ სერიოზული თანამდებობა მიჭირავს ბოლო დროის განმავლობაში, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი, ამდენად, თანაც ეს არის ჩემთვის უფრო დიდი პასუხისმგებლობა, ასპარეზი ჩემი შესაძლებლობების გამოსავლენად.

—რა მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მოვალეობად, როგორც თანამდებობის პირს და როგორც უბრალოდ, პიროვნებას?

—მაქსიმალურად მეტი საქმის კეთება მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მათი ინტერესების მაქსიმალურად დაცვა, ჩემი თანამდებობით მე მევალება გამგებლების კონტროლი, მათზე შესაბამისი დავალებების მიცემა, მათი საქმიანობის შემოწმება. ახლანდელი ხელისუფლება-ეს არის ხალხის ხელისუფლება და პირველი შეხვედრისთანავე მე მოვთხოვე გამგებლებს, დაადასტურონ, რამდენად შესწევთ ძალა მათი მოსახლეობის ინტერესები დაიცვან, აკეთონ მათთვის საკეთილდღეო საქმეები—მაქსიმალურად მეტი ყოფნა ხალხში, ეს მათი მთავარი მიზანი.

—თქვენ რაჭველი ბრძანდებით, გუბერნიის დაარსების დღიდან ამ თანამდებობაზე, ძირითადად, რაჭველ გუბერნატორებს ვიცავთ, ჩვენი ადამიანური ეჭვიანობაა, ხომ არ ზარალდებოდა ან დაზარალდება ამ მხრივ ლეჩხუმი ან თუნდაც სვანეთი საკუთარი კუთხე ხომ მეტად საყვარელია?

ჩემს შემთხვევაში ეს არ იქნება, ერთი თვიდან თითო სამუშაო კვირას (რამდენიმე დღეს) თითოეულ რაიონში გავატარებ, მე არ ვაპირებ ამბროლაურის რაიონში ჯდომას და მხოლოდ ამბროლაურის საკითხების გადაჭრას. მე არა ვარ ამბროლაურის გამგებელი, მე ვარ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, ჩემთვის მშობლიური ამ რეგიონის თითოეული კუთხე უფრო მეტად ჩემი ყურადღება მიპყრობილი იქნება ცაგერის, ლენტეხის და ონის რაიონებისკენ, ამბროლაური ასე თუ ისე, შემოსავლების მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. მომხდარმა სტიქიამ ჩემი პროგრამის განხორციელებაში ცოტა კორექტირება შეიტანა, მე სტიქიამდე და სტიქიის დროსაც ყველა რაიონი მოვიარე, დავრჩი კიდევაც. მომავალშიც ვაპირებ რომ სიღრმისეულად გავაანალიზო თითოეულ რაიონში არსებული პრობლემები. თათბირზე მოვიწვევ გამგებლებს, მართალია მათი მუშაობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია აქ იქნება ობიექტური, მაგრამ რადგან ნათელ სურათს მაინც ვერ დამიხატავს, ვაპირებ უშუალოდ მოსახლეობასთან შევისწავლო ყველა პრობლემა.

—პატონო ოთარ! რამოდენიმე დღეა ტელევიზიით და პრესით გაიგეთ ცნობამ იმის შესახებ, რომ სულ მალე უფლებამოვალეობები გაეზრდებათ მხარის რწმუნებულს. თუმც ოპოზიცია თვითმმართველობის ფუნქციების შეზღუდვაზე ალაპარაკდა. როგორ ფიქრობთ, გჭირდებათ გუბერნატორებს უფლება-მოვალეობების გაზრდა?

გმადლობთ, კარგი შეკითხვაა. რწმუნებულის ინსტიტუტი, როგორც ასეთი საკანონმდებლო ჩარჩოებში არ არის მოქცეული. ეს წინა ხელისუფლების ხარვეზი იყო და ახლა ბუნებრივია ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს. როცა ქაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე და ცენტრსა და რეგიონს შორის უფლება-მოსილებების გამიჯვნაზე, ბუნებრივია რწუმნებულის ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს კანონით მინიჭებული პრიორიტეტები და ამიტომ პარლამენტში და მთავრობაში მიდის ამ კანონებზე მუშაობა. გარკვეული საკითხი არის უწყებრივი დაქვემდებარებების სამსახურების ხელმძღვანელთა საკითხი. მაგალითად, ისეთი რგოლები როგორიცაა სატყეო მეურნეობა, პოლიცია ან სხვა ნებისმიერი სამსახური. ასეთ ხელმძღვანელების შესახებ მე უშუალო, უარყოფით თუ დადებით ინფორმაციებს მოსახლეობისაგან ვიღებ, **თან ასეთი თანამდებობის პირებთან** პირადად მე თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. როცა საქმე საკადრო ცვლილებაზე მიდგება უმეტესწილად ის დროში იჭიმება, რაღაც საფუძველიც სჭირდება, ამიტომ კარგი იქნება თუ ასეთ საკითხები კანონის ფარგლებში მოექცეს.

—ახალი თანამდებობის პირი, როგორც წესი, საკუთარ გუნდს მოიყოლეს ხოლმე მმართველობაში. განახორციელეთ თუ არა საკადრო ცვლილებები ან თუ აპირებთ ახლო მომავალში?

—ადმინისტრაციაში ჩემი მოადგილეები შეცვლილია, უშუალოდ ჩემს ადმინისტრაციაში მიღებულ იქნა რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილება. იყო პერიოდები, როცა ახალი გუბერნატორი რაიონის გამგებლების გათავისუფლებით იწყებდა. მე შევხვდი ამ ხალხს და მივეცი გარკვეული პერიოდი, რომლის მანძილზე გავაკონტროლებ მათ მუშაობას, გამოვიკითხავ მოსახლეობის აზრს, და თუ ისინი ხალხის და რაიონის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, იმ შემთხვევაში განვახორციელებ აქ საკადრო ცვლილებებს. პირველი პირი ხალხის გასაჭირს უნდა ითვალისწინებდეს. ხალხმა უნდა იცოდეს გუბერნატორი, მისი მოადგილეები. გამგებლები კაბინეტებში რისთვის სხედან, რას აკეთებენ, მუშაობენ თუ არა მათი პრობლემების მოსაგვარებლად, ჩვენთვის, ხალხის ხელისუფლების კარჩაკეტილობა მიუღებელია. რაც შეეხება, გუნდურობის პრინციპს, ადამიანი, რომელიც, პატიოსანი, განათლებული, პროფესიონალია, იგი ავტომატურად ჩემი გუნდის წევრიც ხდება.

—პიროვნულად დაპირისპირებულის შემთხვევაშიც, მიიღებთ თქვენს გუნდში?

ასეთ პიროვნებას ამ წუთში ვერ ვიხსენებ, მაგრამ თუ ეს კონფლიქტი მისი საქმიანობიდან გამომდინარე იქნება. იმ ადამიანთან მე ვერ ვიმუშავებ, განათლებული ადამიანი სხვაც ბევრია...

—ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და დასაქმებისათვის რას აკეთებთ?

—ცაგერის რაიონში ჩვენ ვიწყებთ სპორტული მოედნების გამართვას და მოწყობას, რაიონული ცენტრის გალამაზებას, თუმცა სტიქიამ ისეთ რეჟიმზე გადაგვიყვანა, რომ ფასადებზე თანხების დახარჯვის გამო იმ მოსახლეობის სამართლიან რისხვას დავიმსახურებთ, რომელთაც სახლები აქვთ დანგრეული და დახმარებას ელიან. ახალგაზრდებისთვის ხელშეწყობა ჩემთვის პრიორიტეტული თემაა. მიგრაციის პროცესების შესაჩერებლად უნდა იყოს გამართული ინფრასტრუქტურა, ამბროლაურის რაიონში, მაგალითად, გაკეთდა ახალი ინტერნეტკაფე, უშუალოდ ჩემი ფონდიდან ვყიდულობ კინოაპარატურას, ვაკეთებ დისკოთეკის ადგილს. ასევე იქნება თქვენს რაიონშიც. ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარება ახალ სამუშაო ადგილებსაც გამოაჩენს.

—რადგან სტიქიაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე გკითხავთ, რას პირდება მთავრობა სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას?

იმათ გარდა ვინც, ფაქტობრივად უსახლკაროდ დარჩა, თითქმის ყველა ოჯახი ლეჩხუმში დაზარალებულია, მიწყვეტილ სოფლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ცაგერი-ქუთაისის გზა კიდევ ერთ შემოტევას ვე-

გვ.2

„ღისკენის ვსთხოვდითაკი ამოდის...“

„აჰა, მამულო, შენი გულისთქმა, შენი სიმღერა და მოძახილი

მერაბ კოსტავა.

ჭეშმარიტად წმიდა სულითა და რწმენით შეხვდა 26 მაისს საქართველო—თვითდამკვიდრებისა და თავისუფლების დღეს, მერაბ კოსტავას დაბადების დღეს. სამშობლო, მისი დამოკიდებულება ეს საუკუნეების მანძილზე სისხლით დაწერილი ისტორიაა, ჩვენი საამაყო წარსული, წინაპრები, ჩვენი ღირსება, სინდისია და სინდისზე დადუღებული რწმენა.

პატარა, მაგრამ დიდი ცივილიზაციისა და სულით, ძლიერმა ერმა, ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, თავი დააღწია იმპერიის ჩექმას და დაადგა დამოუკიდებლობის სანუკვარ გზას. საქართველო შედგა როგორც სახელმწიფო. უფრო მეტიც: მსოფლიომ აღიარა როგორც სამაგალითო ქვეყანა დემოკრატიის, მშვიდობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

...და დადგა დრო ახალი გამარჯვებების, დრო ეროვნული საერთო პასუხისმგებლობის, დრო—საქართველოს გამთლიანების, დრო—ამაღლების. ...და სულ მალე ისტორიულად ასე ტანჯული ერი კაცობრიობაში დამკვიდრდება იმად, რისი ღირსიც უდავოდ არის მისი უძველესი ისტორია და კულტურა.

26 მაისის დილა ლეჩხუმში ნათელი გათენდა, ნათელი და ამაღლებული. ჩვენი ქალაქის ქუჩებში უამრავი ადამიანი გამოსულა. ისინი გულით ულოცავენ ერთმანეთს ბედნიერ დღეს. აქ მოსულან რაიონის სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, მშრომელთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

ბუნებრივია, 26 მაისი ყველაზე საამაყო დღესასწაულად დამკვირდა ჩვენთვის: და მაინც განსხვავებული იყო წლევანდელი, გაცილებით ფართო მასშტაბის, მრავალფეროვანი, საინტერესო.

ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება (გამგე თამარ ჭაბუკიანი).

მზე, ყვავილები, დროშები, ფერადფერადი ბუშტები, ახალგაზრდების ანთებული თვალები საოცარ ჰარმონიას ქმნის. ღონისძიება ქალაქის, კეჭნარის მიხეილ გვიშიანის სახელობის, პარკის ოფიციალური გახსნით დაიწყო. ახალგაზრდებმა მადლიერება გამოხატეს რაიონის გამგეობის მისამართით, რომლის ინიციატივითა და დაფინანსებით კეთილმოეწყო პარკი, შემოეკალა ღობე, დასუფთავდა. იგი გართობისა და დასვენების კერა იქნება მათთვის.

სამრეკლოს ზარი უხმობს მოზიმეებს, სამრეკლოს მადლი და მშვენება. დიდი და პატარა სასოებით შეჰყურებს სულიერების ამ ახალ კერას, ისმოდა ლოცვა და საგალობელი, სამრეკლო აკურთხა არქიმანდრიტმა ანტონმა.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი. ეს ისტორიული ადგილია. ბევრის მომსწრე და მოწამე მისი ასწლოვანი ცაცხვები იდუმალი ჩურჩულით ყვებიან წარსულის ამბებს.

ბაღის შუაგულში ჩვენი სასიქადულო

გვ.2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ სირაძე: „მე სამივე კუთხის — რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის ინტერესების დაცვა მევალება“...

(დასასრული)

ღარ გაუძლებს.

—უშუალოდ ხდება იმ მოსახლეობის კომპენსირება, რომელთაც დაენგრათ საცხოვრებელი სახლები, შეუძლებელია იქ ცხოვრება, თქვენი გამგებლის მიერ მოწერილ წერილში მითითებულია ასეთი 37 სახლი, გარდა ამისა, სტიქიამდე ჩვენ დავიწყეთ სიების შედგენა მიწისძვრით დაზარალებულთა, დამეწყრილთა, უსახლკაროდ დარჩენილი ხალხისთვის დახმარების გაწევის მიზნით დაფიქსირდა.

ასეთი 20 ოჯახი, შემდეგ ამას დავემატა აღნიშნული 37, გადაწყვეტილია, რომ ამ ოჯახებისთვის საკომპენსაციო თანხა შეადგენს თითოეულზე 5 ათას ლარს, გარდა ამისა, ის 35 მილიონი, რომელიც მთავრობას აქვს გამოყოფილი, გამოიყენება გზების, ხიდების აღსადგენად, ელექტრობოძების აღსადგენად, რათა მოსახლეობას მაღალ სოფლებში ჰქონდეს ელექტროენერგიაც, გზაც, ხიდიც, რათა კლავაც გაგრძელოს ცხოვრება.

მთავრობის წინა სხდომაზე გატანილი იქნა საკითხი ლაჯანურის ხეობაში მძიმე ტექნიკის შემოყვანაზე, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 50 ათასი ლარი, როგორც კი ეს თანხა რაიონის ანგარიშზე დაჯდება, დაქირავებული იქნება ტექნიკა, რომელიც ლაჯანურს მისცემს მიმართულებას, ასევე 250 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოების ჩატარება დაევალა უშუალოდ ლაჯანურჰესს მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაზეც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც თქვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ავთანდილ სილაგაძე, ასევე, თქვენი რაიონის წარმომადგენელი პარლამენტარი ბატონი ვალერი გიორგობიანი.

—ამ სტიქიური უბედურების ფონზე, სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადებულ მხარეს, რაშიც დიდი წვლილი ლაჯანურჰესის კაშხალ-საგუბრებს მიუძღვის, დღეს, როცა უმაღლესი ხელისუფლების თვალი ჩვენდაენი დახმარებისთვისაა მომართული, გვაქვს თუ არა უფლება მოვითხოვოთ ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათებით, რათა სხვა პრობლემებს უშუალობაც არ დემატოს ჩვენში?

წინა ხელისუფლებას არასდროს არ ჰქონია იმის საშუალება, რომ მოსახლეობისათვის 24 საათი მიეწოდებინა ელექტროენერგია, წელს არის უკანასკნელი დეფიციტური წელი, მაგრამ თუ გვინდა გვექნეს ელექტროენერგია, უნდა გადავიხადოთ კიდეც დანახარჯი, უნდა გავაკეთოთ ეკონომია, გადახდისუუნაროო ნაკლები უნდა დახარჯოს, თუმცა ეს მტკივნეული პროცესია.

რაც შეეხება შეღავათებს, პრემიერმინისტრს დავალებული აქვს უშუალო სამსახურებისათვის კანონპროექტის შეტანა, რომელიც გარკვეული მრავალმხრივ შეღავათებს ითვალისწინებს. ამ კანონმა რეალურად უნდა იმუშაოს, მასში პრობლემატური საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული.

ზემოთ ახალგაზრდობა ვახსენეთ ჩვენი მხარის, თქვენ თვითონაც საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდებით და ამავე დროს წარმატებულიც. რას ურჩევდით სხვა ახალგაზრდებს, როგორ მიიღწევა წარმატება?

განსაკუთრებული რეცეპტი არ გააჩნია, მაგრამ მე სტუდენტობის პერიოდიდან დავიწყე მუშაობა, მათაც მოვუწოდებ მეტი იმუშაონ, ინიციატივა გამოიჩინონ, მოინდომონ, შესაბამისი ცოდნის მიღებაც აუცილებელია, აქტიურები უნდა იყვნენ, ამით მიიღწევა ალბათ წარმატება.

—გავლენიან საახლობლო წრეს გამორიცხავთ? არ არის აუცილებელი? ან თუნდაც იღბლიანობა?

ეს არ არის ის დრო, როცა თანამდებობაზე დანიშვნა ნათესავებთან და მეგობრების წყალობით ხდებოდა, არც მე არასდროს არავის რეკომენდაცია არსად არ დამჭირვებია, დაბეჯითებით გეტყვით. მე რიგითი მუშიდან დავიწყე, გავიარე ყველა საფეხური, ნელ-ნელა დავწინაურდი. პირველი დღიდანვე ვიყავი ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრი, რაც მაშინ პრობლემასაც კი მიქმნიდა, თუმცა წარმატებას მაინც ვაღწევდი. მონდომებულ და პატიოსან ადამიანთან იღბალი ყოველთვის იქნება.

—თქვენ ნაციონალური, ამჟამად მმართველი პარტია ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა ჯანსაღი ძალა პარტიული ხაზით ჩვენში, რომელთაც ხალხის სასიკეთოდ შეუძლიათ მუშაობა?

მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ და „დემოკრატები“ ჩამოყალიბდნენ ერთიან ორგანიზმად, შეიქმნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, უმეტეს რაიონებში დასრულებულია ახალი პარტიის ჩამოყალიბება, შესაბამისი კონფერენციების საფუძველზე. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში არ არის ეს პროცესი ჯერ დაწყებული, მაგრამ მე მაქვს კონტაქტი ჩემს მეგობრებთან, ახალგაზრდა ლიდერებთან და ეს პროცესი ცაგერშიც მალე დაიწყება, ამ მხრივ თქვენს რაიონს დიდი რესურსი აქვს, პარტიას ყავს შესაბამისი რეგიონალური დეპარტამენტი, რომელიც სწავლობს თითოეულ რაიონს, იცნობენ პარტიის წევრებსი, ამიტომ, ეს უშუალოდ პარტიის ხელმძღვანელების გადასაწყვეტი საკითხია, იმედია, ახალ თავმჯდომარედ ღირსეულს აირჩევენ, შემდეგ, რა თქმა უნდა, მეც მომიწევს მასთან აქტიური თანამშრომლობა.

—ჩვენს რაიონში ბიუჯეტიდან შემოსავლები ამ ბოლო დროს უფრო გამოჩნდა, ყოველ შემთხვევაში უკვალოდ არ ქრება, არ აგვიანებს არსებული ხელფასები. ტარდება გარკვეული სამუშაოები, რაც დაეტყო კიდეც ჩვენს ქალაქს, ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ყინული დაიძრა, და ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ უნდა დაველოდოთ თუ არა ახლო მომავალში საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების ზრდას?

რასაკვირველია, უახლოესი მომავლისათვის უნდა ველოდოთ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების ზრდას, მინიმალური ხელფასი პირველ ეტაპზე გაუთანაბრდება 115 ლარს, ქვეყნის ბიუჯეტი ამ წელიწადში

ყოველ კვარტალში იზრდებოდა. მესამე კვარტალშიც ზრდაა მოსალოდნელი, შესაბამისად ხელფასიც მოიმატებს.

ასევე უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდა და ხელფასებიც გაიზრდება.

—თქვენი თვალით დანახული კულტურული, ეკონომიკურ-პოლიტიკური და კრიმინოგენური მდგომარეობა ლეჩხუმში.

—დავიწყებ კულტურით, საამაყოა, რომ ცაგერს ჰყავს მომღერლებისა და მოცეკვავეების შესანიშნავი ჯგუფები, რომლებიც არაერთი ფესტივალში მონაწილეობენ. მიმდინარეობს კულტურის სახლის რემონტი და ყველანაირი ხელშეწყობა ექნება კულტურას, რათა მეტად განვითარდეს, ჩვენ ხომ ჩვენი კულტურით ადრეული ევროპის წარმომადგენლები ვართ, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობის დროს.

რაც შეეხება კრიმინოგენულ მდგომარეობას, ცაგერის რაიონში დანაშაულის უმეტესი ნაწილი არის გახსნილი, არსებობს წინა წლებში ჩადენილი გაუხსნელი დანაშაულები, რაზედაც ინფორმაციები უკვე აქვთ სამხარეო სამსახურებს, იმედი გვაქვს, უახლოეს ხანში გაიხსნება, თუმცა პოლიციას მოსახლეობის მხარდაჭერა სჭირდება.

—ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანში?

—ადამიანში ვაფასებ პატიოსნებას, გულწრფელობას, შრომისმოყვარეობას.

—რას ვერ აპატიებთ?

—ტყუილს, ღალატს.

—რას უსურვებდით ლეჩხუმს და მთელს ჩვენ მხარეს ისეთს რომლის შესრულებაც ამჟამად თქვენს ძალებს აღემატება?

ვისურვებდი, რომ არასდროს არ მოხდარიყოს სტიქია ცაგერში, ლენტეხში... არასდროს არ ქონოდეს მთავრობას იმის პრობლემა და მოთხოვნილება, სად ჩასახლოს ამ მხარეში დაზარალებული მოსახლეობა, რით დაეხმაროს. ყოფილიყოს გალაღებული ცხოვრება, ბედნიერება. ჰქონოდეთ 24 საათი შუქი და შესაძლებლობა მისი გადახდისა. ჰქონდეთ კარგი გზა და კარგი შემოსავლები... დაიბადოს ბევრი, ბევრი ბავშვი. წარმატებებს გისურვებთ!

ბმადლობთ, გულახდილი და უშუალო საუბრისათვის, თავმჯდომლობისათვის, რითაც პირველი შეხვედრისთანავე მოიპოვეთ ადამიანების კეთილგანწყობასა და პატივისცემას!

თამარ დავითულიანი

„ცისკრის ვარსკვლავი ამოდის...“

(დასასრული)

პოეტის ლადო ასათიანის ძეგლს მოკრძალებით უახლოვდებიან მოზარდები, ყვავილებით ამკობენ.

ძალზე ორიგინალურად გადაუწყვეტიათ ღონისძიების ორგანიზატორებს ცაგერის სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა გამოფენა, პარკში მოშრიალე ხეების გულმკერდზე ნორჩებს ნახატები გამოუფენიათ.

რა სერიოზული, გაფართოებული თვალებით შემოგვყურებენ, მოგვეწონა თუ არა მათი ნახელავი, რას ვეტყვით, რას ვურჩევთ.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა მშვენიერი კომპოზიცია წარმოადგინეს.

ტრადიციულად თავი გამოიჩინა საარაიონო კულტურის სახლმა (დირექტორი დარეჯან საღინაძე). მათ კონცერტი მრავალჟამიერით დაასრულეს, რომლის შემდეგ ცაგერის რაიონის გამგებელი, ბატონი **თამაზ ქარსელაძე** მიესალმა ზეიმის მონაწილეებს. მიულოცა დღესასწაული და ახალი გამარჯვებები უსურვა. ზეიმში მონაწილეობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

მარიამ ყურაშვილს, ქეთი დარჩიაშვილს, შოთიკო ლიპარტელიანს, სხვებს აქ მოუტანიათ პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტი... თითოეულ ნამუშევარში მათი შინაგანი სამყარო მოჩანს, სულის სიფაქიზე და სიწმინდე, ფანტაზია, და რაც მთავარია, სიყვარული და ლტოლვა დიდი ხელოვნებისკენ.

მინდა მარჯვენა დაგიკოცნოთ, ძვირფასო ბავშვებო, დაგილოცო გზა დიდი მომავლისაკენ.

აქვეა ცაგერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელთა შემოქმედების გამოფენა-მთელი გულით შესრულებული.

ასფალტზე ცარცით ხატვა ძალიან მოსწონთ ახალგაზრდებს. ფერადი ცარცით მოჩითული გზა-მოედნები, დროშები, ყვავილები, გაზაფხული...

ზეიმში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებით დაწყებული. უფროსი თაობის დამთავრებული, ყველა იყო ჩართული.

ზეიმს ესწრებოდა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, ბატონი პაატა კიკვაძე.

ამის შემდეგ კულტურის სახლთან არსებული ანსამბლის ჭიტა-ჭიტას ლამაზი კონცერტი მოვისმინეთ.

პარალელურად მოეწყო ლატარიის გათამაშება, არაერთი სპორტული ასპარეზობა. ასე ჩაიარა 26 მაისის დღესასწაულმა ლეჩხუმში.

თუმცა ზეიმი ამით არ დასრულებულა, სტუმრებმა ქვედა ცაგერის საკრებულოს შენობაში გადაინაცვლეს, საკრებულოს მიერ ჩატარებულ კფეს საღამოზე

უფალო! კვლავაც ნუ მოაკლებ სიხარულს ჩვენს მამულს, დაიფარე იგი, მიეცი მის შვილებს სიყვარული, ძალი, გონი და ენერგია, მიეც სიმშვიდე!

მზევინარ ჭელაძე

აქცია ელექტროენერგიის მოთხოვნით

ყურადღება!

გამრიცხველიანების ახალმა ფორმამ, რომელიც უბან-უბან დამონტაჟებულ მრიცხველებს ითვალისწინებს, ცაგერში გადახდის ერთობ უჩვეულო სისტემა მოიტანა, კერძოდ, თითოეული ოჯახისათვის, მეტ-ნაკლები დანახარჯის მიუხედავად, გადასახადი ათ დღეში საშუალოდ 15-17 ლარს შეადგენს, მოსახლეობამ გადახდა ვერ შეძლო და ენერგოკომპანიამ შუქიც გამორთო.

20 მაისს უშუქობით შეწუხებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, სამართლის საპოვნელად ენერგოკომპანიის ცაგერის მომსახურე ცენტრის მენეჯერს—დავით ქარსელაძეს მიაკითხა, მან შუქის ჩართვაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ვერ აიღო, თუმცა მოსახლეობასთან შესახვედრად ზემდგომი, დასავლეთ საქართველოს რეალიზაციის სამსახურის უფროსი **თემურ სულაძემ** ინვია, ხალხმაც პრეტენზიები სტუმრისათვის მოამზადა.

პირველად ხალხის და თემურ სულაძის შეხვედრა ენერგოკომპანიის შენობასთან მოხდა, სადაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, რადგან მან ხალხთან საუბრის დასრულება ამ სიტყვებით ისურვა: „შუქი არ გექნებათ“, „წყალიც არ გექნებათ“ (თუმცა წყალს ისედაც მივყავართ!).

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების თხოვნით, აქციის წარმომადგენლებმა სტუმართან ერთად გამგეობის დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც სიტყვით გამოვიდა ქვედა ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე, კარლო კოპალიანი, მან აღნიშნა, რომ რაიონის გადახდისუუნარობის გამო, ე.წ. „მთის კანონის“ შესაბამისად, თავის დროზე მოსახლეობა მინის გადასახადისაგანაც კი განთავისუფლდა, ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ხალხი ჩვენთან დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ვერ გადაიხდის, საჭიროა დანესდეს გარკვეული შეღავათები!

მოთხოვნებს აყენებდნენ ლელა ლომთაძე, ტრისტან ლეთოდიანი, მანანა კოპალიანი და აღელვებული მასის სხვა ნარმომადგენლები.

რაიონის გამგებელი, ბატონი თამაზ ქარსელაძე დედაქალაქში იმყოფებოდა. აქციას ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილეები გურამ ყურაშვილი და კახა კოპალიანი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბეჟან ღურჭუმელიძე, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ მოსახლეობის ინტერესები. ტელეფონის საშუალებით შექმნილი მდგომარეობა ეცნობა მაჟორიტარ დეპუტატს და მხარის გუბერნატორს.

ხალხის მოთხოვნები, ძირითადად, საერთო იყო. ლეჩხუმი, ისედაც რთული კლიმატური პირობების მხარე, მითუფრო ცაგერი, საიდანაც ჯერ კიდევ 1882 წელს, ლაილაშიდან ცაგერში ლეჩხუმის ცენტრის გადმოტანისას, მოწვეული ხელოსნები რამდენიმე დღეში უკან გაიქცნენ ფიზიკური დაუძლურების გამო, კიდევ უფრო მეტად დამძიმდა აქ აშენებული ლაჯანურჰესის კაშხალ-საგუბრების გამო, იმატა მენყრიანობამ, წყალდიდობებმა (რამაც სულ ახლახან დიდი ზარალი მიაყენა ლეჩხუმს), ენდოკრინულმა, რევმატიულმა, ონკოლოგიურმა დაავადებებმა, ბევრ სოფელში მიუვალი გახდა გზა, სხვა რეგიონებთან დამაკავშირებელ გზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამიტომ მთლად განთავისუფლებას თუ არა, გადასახადის შემცირებას მაინც ითხოვს ლეჩხუმი, აქვე გაიელვა ინდივიდუალური გამრიცხველიანების მოთხოვნამაც, თუმცა შეღავათის გარეშე არც ეს იქნება გამოსავალი, ხელფასებიდან და პენსიებიდან (ვისაც აქვს ეს შემოსავალი მაინც) შეძლებისდაგვარად, მაგრამ რა თქმა უნდა, არა საკმარისს, დღემდისაც იხდის მოსახლეობა.

ჩამოთვლილმა გასაჭირმა, რასაც ისიც ერთვის, რომ ბევრ ოჯახს პატარა ბავშვებისათვის ჩაის ადუღების საშუალებაც არ გააჩნია პირობების არქონის გამო, ბატონ თემურ სულაძეს გული ვერ აუჩუყა და დენის მიწოდებას კატეგორიულად კრძალავდა, თუმცა ხალხმა მაინც იძალა და თემურ სულაძის განკარგულებით, იმ პირობით, რომ გადახდილი იქნება დახარჯული ელექტროენეგიის 50%, დანარჩენი ვალი—კი დაიფარება ეტაპობრივად, შუქი ჩაირთო, თუმცა ეს შეთავაზება ხალხისათვის გამოსავალი მხოლოდ პირველ ივნისამდეა.

ამ დროის ამოწურვამდე იმედი გვაქვს, კომპეტენტური პირები, ადგილობრივი მთავრობა, დუპუტატი ხალხის მოთხოვნებს მიიტანს დანიშნულების ადგილზე, სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადებულ ჩვენს მხარეს დაუნესდება გადახდაზე მნიშვნელოვანი შეღავათები და არ აღმოჩნდება მთელი რეგიონი წყვდიადში. მრავალ გასაჭირს მიჩვეული ხალხი უშუქობასაც ვეღარ მოითმენს.

თამარ დავითულიანი
ეკა ყვირილიანი

ღღე – გამარჯვების

კიდევ ერთხელ აღინიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-60 წლისთავი მსოფლიო მასშტაბით. ბევრი წელი გვაშორებს უკვე იმ ავადმოსაგონარ, საზარელ დღეებს, მაგრამ იარა, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა დატოვა ისევ და ისევ გვახსენებს თავს. ან კი, რა დავიწყებას უნდა მიეცეს სისხლიანი ფაშიზმისგან დაღდამჩნეული წლები, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩახოცილი ტყეები, კიდით-კიდემდე გადამწვარი, გაუკაცრიელებული ქალაქები და სოფლები, თვალებში ჩამდგარი შიში და მაინც იმედი, გამარჯვებისა...

ჩვენმა პატარა კუთხემ, ლეჩხუმმა შვიდიათასი ვაჟკაცი გაისტუმრა მეორე მსოფლიო ომში. აქედან ნახევარი აღარ დაბრუნებულა, თუმცა „სახელოვანსა და სიკვდილსა ან რა სჯობს ან რა ედრება?!..“

წლევანდელი 9 მაისი საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ჩვენს პატარა ქალაქში. გულთბილი შეხვედრა მოეწყო ომის ვეტერანებთან ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ვეტერანებმა და მოსახლეობამ პატივი მიაგეს რაიონის ცენტრში არსებულ ომში დაღუპულთა ვაჟკაცების მემორიალს, სადაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა პატარა კონცერტიც კი გამართეს.

ღონისძიებამ სარაიონო კულტურის დარბაზში გადაინაცვლა და საკმაოდ თბილი საღამო მოეწყო. 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება ამით არ დამთავრებულა. ჩვენ ქვედა ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა კარლო კოპალიანმა მიგვიწვია თავისთან. შეხვედრა ომის ვეტერანებთან საკრებულოს შენობაში მოეწყო. ბატონმა კარლომ იქ მყოფთ მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების მე-60 წლისთავი, ისაუბრა თუ რა დიდი ღვაწლი აქვთ სიცოცხლის —ფასად, სამშობლოსათვის გაწეული და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა: „დიდია თქვენი ღვაწლი, რომ არა თქვენ, კაცობრიობას ფაშიზმი გადალეკავდა“. ბოლოს ბატონმა კარლომ ვეტერანებს სამახსოვროდ სუვენირები და ხატები გადასცა.

წელთა სიმრავლე, თქვენეული შემართება, მხნეობა არ მოგკლებოდეთ, ჩვენო ომის ვეტერანებო!

ეკა ყვირილიანი

ომის ჯარცელლოიდან... ცოცხალთან ბრძოლაში

ინტერვიუ ცაგერის სათავე ნაგებობის ოსტატთან ბატონ იოსებ რატიანთან

ქალაქის განაპირას მდგარ ლაჯანურჰესის პლატინის კაშხალის შენობას ცაგერის სათავე ნაგებობის ოსტატთან ბატონ იოსებ რატიანთან სასაუბროდ ორი მიზეზის გამო ვესტუმრეთ__ჯერ ერთი, ეს გაზეთის ნომერი სამაისოა და ბატონი იოსები დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე და საზოგადოების აქტიური წევრი ბრძანდება. მეორეც, დამეთანხმებით იმ სტიქიურმა მოვლენებმა, რომლებმაც აგრერიგად დააზიანეს ლეჩხუმელები, რბილად რომ ვთქვათ, პლატინის სათაო კაშხალზე გადაიარა.

ბატონი იოსები აგერ უკვე 45 წელიწადია ამ სამსახურს თავკაცობს და არც თუ ურიგოდ! ჩვენ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას.

__ბატონო იოსებ, ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან...

დავიბადე 1922 წლის 15 სექტემბერს ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში. 1939 წელს დამთავრებული ამბროლაურის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე (ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება და დამთავრება ომის შემდეგ მომიწია).

1940 წლის ბოლოს მობილიზაციით მოვხვედი საბჭოთა არმიის რიგებში: მონაწილეობა მივიღე კარელია-ფინეთის ფრონტზე, მოსკოვის დაცვაში. ამავე პერიოდში დავამთავრე მოსკოვის საავიაციო სასწავლებელი და გავხდი მფრინავი, თავდაპირველად კი ფრონტზე არიტილერისტის მოვალეობას ვასრულებდი, ომის დამთავრებამ მომიწია პოლონეთში, ქ. კატოვიცეში, მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები.

ომის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში, კერძოდ ცაგერის აეროპორტის უფროსად. 1947 წელს შევქმენი ოჯახი თამარ ბერუჩაშვილთან ერთად, შეგვეძინა ორი შვილი: ქალ-ვაჟი. 1953 წლის 1 აპრილიდან დავიწყე მუშაობა ლაჯანურ-ჰესის მშენებლობაზე საქმის მწარმოებლად. 1960 წელს მშენებლობის დამთავრებისთანავე გადამიყვანეს ლაჯანურჰესის ცაგერის სათავე ნაგებობის ოსტატად, სადაც ვმუშაობ დღემდე. მიღებული მაქვს მრავალი მადლობა და სახელმწიფო ჯილდო, სამკერდე ნიშნით დავჯილდოვდი და მომანიჭეს მაღალი კვალიფიკაციის ენერგეტიკის წოდება.

მყავს შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ბატონო იოსებ! რომელი წლიდან არსებობს ეს სათავე ნაგებობა და რამდენი წელია, რაც თქვენ ამ სამსახურს ხელმძღვანელობთ?

__სათავე ნაგებობა 1960 წლიდან არსებობს. თვითონ მე კი 45 წელია, რაც ამ სამსახურს ვხელმძღვანელობ. (სულ კი მუშაობის 67 წლის სტაჟი მაქვს).

კაშხალის სათაო ნაგებობაზე სულ ახლახანს ჩატარდა რეფორმა, შემცირდნენ თანამშრომლები, რამდენი წავიდა, რამდენი დარჩა და საერთოდ, რა კრიტერიუმებით მოხდა თანამშრომელთა შემცირება?

__მინდა გითხრათ, რომ რეფორმის გატარებამდე 28 თანამშრომელი მსახურობდა, ახლა კი 15-ია დარჩენილი. მათი შემცირება ძირთადად მოხდა ასაკის მიხედვით, ძირითადში დათხოვნილ იქნენ პენსიონრები (მე, როგორც სამამულო ომის მონაწილეს ეს არ შემეხო), შემცირებულ პიროვნებებს, მინდა გულწრფელად ვთქვა, რომ უდიდესი დამსახურება აქვთ, ისინი ნამდვილი პროფეისონალები იყვნენ. მათ ნაკვალევზე გაიზარდა დღევანდელი ცვლის დიდი ნაწილი. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო მათ გაწეული გარჯისათვის მინდა აქვე ისიც ვთქვა, რომ მათ 100%-ით აუნაზღაურდათ სახელფასო დავალიანება.

თქვენს ზემდგომად ლაჯანურჰესი ითვლება. როგორ თანამშრომლობთ ადმინისტრაციასთან და გიდგანან თუ არა ისინი გვერდში?

__ჩემი მუშაობის მანძილზე ლაჯანურსჰესის ხელმძღვანელობა და მთლიანად კოლექტივი მუდამ მხარში გვედგნენ და დღესაც ასეა. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელ დახმარებასაც გვიწევენ. მინდა მადლობა გადავუხადო მათ დირექტორს ბატონ **დათო ჩაჩხიანს**, მთავარ ინჟინერს__**მერაბ მუკვანს** და მთელ კოლექტივს.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც თქვენი სამსახურის წინაშე დგას?...

__სათავე ნაგებობის მარჯვენა მხარე არის ავარიულ მდგომარეობაში და წელს მოხდება მისი კაპიტალური შეკეთება. ლაჯანურჰესის ადმინისტრაციას წელს გეგმაში აქვს თვით ნაგებობის კაპიტალური შეკეთება.

__როგორ გაუმკლავდით სტიქიას და რა იყო წყლის მაქსიმალური დონე?

__მიუხედავად იმისა, რომ გვყავს შედარებით ახალგაზრდა კოლექტივი, მომზადებულნი შეეხვდით ბუნების ჭირვეულობას და თითოეულმა მუშაკმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ნაგებობის დაარსების დღიდან აპრილის თვეში 200 m^3-ზე მეტი არ ყოფილა, წელს კი 720 m^3 წყალი გავატარეთ, რაც ჰესის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევაა.

__რა მოვლენა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად თქვენი მუშაობის მანძილზე?

__1980 წლის მაისში აღინიშნა ლაჯანურჰესის დაარსების 20 წლისთავი, სადაც თავი მოიყარა ჰესის მშენებელთა კოლექტივმა. მოხდა მოწინავე თანამშრომელთა დაჯილდოვება, სათანადოდ შეფასდა თითოეული ჩვენთაგანის ღვაწლი.

ბატონო იოსებ! ჩვენი გაზეთის ნომერი სამაისოა, და რა თქმა უნდა გვერდს ვერ ავუვლით 9 მაისს და პირადად თქვენს საბრძოლო დამსახურებას. მოგვიანებით გილოცავთ და რას გაიხსენებდით იმ დღეების უკვდავსაყოფად...

__უპირველესად მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისათვის, რაც შეეხება გახსენებას__1945 წლის 9 მაისი იყო საკაცობრიო მოვლენა, მსოფლიო გადაურჩა ფაშისტურ უღელს, ეს დღე გახლდათ უდიდესი სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი ყველა ადამიანისათვის, საბრძოლო ნაწილებში სიხარულის ზღვა იდგა, ყველანი ბედნიერები ვიყავით.

რაიონის ხელმძღვანელობა როგორც ადრინდელი, ასევე დღევანდელი, რაიონის გამგებლის **თამაზ ქარსელაძის** ხელმძღვანელობით ყოველთვის სათანადოდ აღნიშნავდა გამარჯვების დღესასწაულს, 9 მაისს და ომიდან დაბრუნებულებს მოწიწებით გვეპყრობოდნენ.

__და ბოლოს, სულ ახლახანს თქვენთან ჩატარდა გამოცდები, როგორ ჩაიარა?

__2005 წლის 24 მაისს ჩატარდა პროფესიონალური გამოცდები. სათაო ნაგებობის თანამშრომლებმა დამაჯერებლად ჩააბარეს საკითხები, თუმცა მათ პრაქტიკულადაც თავი გაართვეს სტიქიას, რისთვისაც თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვეუბნები მათ! ეს იყო უდიდესი გამოცდა ასეთი ახალგაზრდა კოლექტივისთვის.

■

ბატონი იოსები, მიუხედავად ასაკისა, მართლაც პროფესიონალურად უძღვება იმ საქმეს, რასაც ამ ნაგებობის სტრუქტურა უდავოდ დიდია მისი წვლილი. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

მარინა სვანიძე

წარსულის ექო

დამოუკიდებლობის ამ საზეიმო დღეებში, თითქოს განსაკუთრებულად გვაწვალებს წარსულის ექო—საბჭოეთის 70-წლიანი ისტორიის არა ერთ სინსლიანი თარიღი, დალუპული ჩვენი სასიქადულო წინაპრები, მათი დაობლებული ოჯახები, მოურჩენელი ტკივილი...

თითქოს ვალს ვიხდით მათი სულების წინაშე ამჯერად გთავაზობთ ქალბატონ ნაირა ცხვედიანის წერილს, რომელიც ადრეც იყო გამოქვეყნებული რაიონულ გაზეთში.

რიგით ქრებილნენ ადამიანები

ზუსტად ექვსი თვით ადრე, ვიდრე დაიჭერდნენ, ცაგერის რაიონული გაზეთის „ბოლშევიკური ტემპით“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა გიორგი მიხეილის ძე ჭოხონელიძემ დაწერა ავტობიოგრაფია, რომელიც ახლა ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს და ნახევარი საუკუნის წინანდელ საშიშ და დამთრგუნავ სამყაროში გადავყავარ.

მარტო ავტობიოგრაფიაზე დასმული თარიღის—1937 წლის წაკითხვისას გზარავს ადამიანს.

წლების უკან მობრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ერთსა და იმავე მდინარეში მეორედ შესვლა, მხოლოდ მოგონებებით შეიძლება მოვიხადოთ ვალი უსასტიკესად დახოცილი ადამიანების სულების წინაშე.

1937 წლის 7 სექტემბერს რედაქციის შენობაში დააპატიმრეს 32 წლის გიორგი ჭოხონელიძე, რომელსაც სახლში მეუღლე და ორი მცირეწლოვანი გოგონა—7 წლის მზია და 3 წლის მამილა დარჩა. მდიდარი კაცი არ ყოფილა გიორგი და ოჯახს მისგან მემკვიდრეობად მხოლოდ პატიოსნება და წიგნები დარჩა. არ ჰქონდა საკუთარი ჭერიც კი და უსასოოდ დარჩენილი გოგონები დედის ძმის ოჯახს შერჩნენ შეკედლებული.

თვითონაც დედით ობოლმა გიორგიმ ნაკურალეშში, დედულის ბიძების—გოლეთიანების ოჯახში გაატარა თავისი უსიხარულო ბავშვობა. ალბათ მამის ბედი თუ დაყვათ შვილებსაც.

საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო 17 წლის ბიჭმა ცხოვრება ტყიბულის მაღაროს მუშიდან დაიწყო და შემდეგ ლეჩხუმში, ბაღდათსა თუ სვანეთში სხვადასხვა ადგილებზე მუშაობის დროს არასოდეს შეუმჩნევიათ მისთვის საქმის ორგულობა და ღალატი, იყო კომუნისტური პარტიის წევრი. დაპატიმრებამდე 6 თვით ადრე თვითონაც ასე ჩაუწერია ავტობიოგრაფიაში. „როგორც კომკავშირში, ისე პარტორგანიზაციაში და სხვა სამუშაოზე არ მიმიღია არავითარი ადმინისტრაციული დისციპლინარული პარტიული სასჯელი, არავითარ გადახრებში ან ანტიპარტიულ ჯგუფებში მონაწილეობაზე შემჩნეული არ ვყოფილვარ.“

მერე რა რომ ასე იყო, მაშინ ხომ ადამიანის გაქრობისათვის დანაშაული კი არა, სამი კაციის ხელმოწერილი საჩივარი იყო საკმარისი. ასეთ სამ კაცს კი მაშინაც და დღესაც რა გამოლევდა ან რა გამოლევს საქართველოში.

ასე გააქრეს იმ წლებში პარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანი კაკო ჩაკვეტაძე, პარტიის რაიკომის მდივანი ბეგია გუგავა, აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი სვანიძე, მასწავლებელი კაპიტო ყურაშვილი, პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი ერმილე გაბიანი და ბევრი სხვა.

დანაშაული არ იყო საჭირო. საკმარისი იყო სამი პირადი მტერი...

მაგრამ მოდით, ჩვენ ისევ გიორგი ჭოხონელიძის ოჯახის ტრაგედიას დავუბრუნდეთ.

მეუღლის დაპატიმრების შემდეგ მარო ყურაშვილი, რომელიც ცაგერის აღმასკომში ქალთა განყოფილების გამგედ მუშაობდა, პარტიიდან გარიცხეს და სამსახურიდან გაანთავისუფლეს. შიშმა, შიმშილმა და სიმარტოვემ დაიდო ბინა ჭოხონელიძეების ოჯახში.

თუმც დარჩა იმედიც (რომელიც არასოდეს ტოვებს გაჭირვებულ კაცს), რომ გიორგი მართალი იყო, რომ პარტია და მთავრობა მართალ კაცს არ გაწირავდა. ასე სწამდა ცოლს, ასე სწამდა თვითონ გიორგისაც.

ქუთაისის ციხეში პატიმრის გადაყვანის ნინა დღეს ცაგერის მილიციის უფროსმა მარო ყურაშვილს დაუძახა და მეუღლის ვერცხლის საათი გადასცა, რომელზედაც ოჯახის წევრების სახელები იყო ამოკვეთილი და მაშინ მოხდა მართლაც უცნაური და საოცარი შემთხვევა მაროს მეუღლის ნახვის უფლება მისცეს. ძნელი განსასაზღვრავია რატომ, რა მიზნით გაკეთდა მაშინ ეს შეხვედრა, მაგრამ ერთი კია, ამ უკანასკნელ შეხვედრაზე გიორგიმ მეუღლეს ციხეში დაწერილი თავისი დღიურები გადასცა, დღიურები სავსე ტანჯვით, გაურკვევლობითა და იმედით. შემდეგ ამ დღიურებით სულდგმულობდა დედა—იგონებს უფროსი შვილი, მზია—როცა ძალიან გაუჭირდებოდა, დაიმალებოდა, ჩუმად კითხულობდა და ტიროდა. შემდეგ ეს დღიურები, 1957 წელს, როცა გიორგი ჭოხონელიძე რეაბილიტირებული იქნა, რესპუბლიკის პროკურორმა ბერძენიშვილმა წაიღო. მზიას კი ბევრი რამ თითქმის ზეპირად ახსოვს მამის პატიმრობის დროინდელი ჩანაწერებიდან.

„ჩემი ერთადერთი ბინადარი ბაყაყია,—წერდა იგი—რომელიც შემომძახებს ქვემოდან „გამაგრდი,“ სხვა იმედის მთქმელი არავინ მყავს.“ დღიურებში ასეთი ჩანაწერიც ყოფილა—ვინ იცის, ალბათ შვილებს აშიმშილებს მარო და საჭმელს ისე მიგზავნისო.

ამ დღიურებში იყო აღწერილი მამის ღამეული დაკითხვები და ისიც, როგორ სტანჯავდნენ ბეგია გუგავას...

ნოემბერში პატიმრები ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. ამ ციხეში მხოლოდ ერთხელ შეუგზავნეს საჭმელი და ფული გიორგის და ყველაფერი ამით დამთავრდა. შემდეგ აღარაფერი მიიღეს ოჯახიდან. როგორც ჩანს ის მალევე დახვრიტეს და ალბათ ქუთაისისათვის არ გაუცილებიათ.

წლების შემდეგ სატვირთო ავტომანქანის ერთი ქუთაისელი მძღოლი იგონებდა თურმე, ქუთაისში შუაღამეზე როგორ მიყავთ პატიმრები საღორიის ტყეში და როგორ ხვრეტდნენ საკუთარი ხელით გათხრილი სამარის პირას...

გიორგი ჭოხონელიძის მეუღლე კი ჯიუტად ეძებდა ქმრის გზაკვალს, ადგილს არ უნაცვლებდა მის სამუშაო მაგიდაზე დატოვებული გადაშლილ წიგნს „დავით კოპრეფილდს“ და ქმრის დაბრუნებას ელოდა. წავიდა მეუღლის ერთ-ერთ მეგობრებთან, იმ დროს საქართველოში საკმაოდ ცნობილ, დიდ პიროვნებასთან საკმაოდ ცნობილ, დიდ პიროვნებასთან დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ამაოდ. მეგობარმა ჯერ სამი დღის განმავლობაში არ მიიღო შემდეგ კი ცივი უარით გამოისტუმრა, შემდეგ შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრის სახელზე შვილის სახელით გაგზავნა წერილი.

და ერთ დღეს ათი წლის მზია მილიციაში დაიბარეს. გაშრა დედა. მთელი ღამე ფეხზე გაათენა, ნანობდა წერილის გაგზავნას, შეშინდა, ახალი უბედურება არ დასტყდომოდა თავს. იმ დროს ხომ „მოღალატეთა“ ცოლ-შვილსაც იჭერდნენ, სიტყვა „დაგვიჭერენ“ უფრო საშიში გახდა პატარა გოგონების გონებაში, ვიდრე სიტყვა „სიკვდილი.“

და მთელი ღამე ავარჯიშებდა გაუბედურებული ქალი ათი წლის გოგონას, რომ მილიციის უფროსის კაბინეტში შესვლისას კარგად აეღო პიონერული სალამი...

მამის დაჭერიდან ათი წლის შემდეგ გარდაიცვალა დედა და გოგონები უკანასკნელი სითბოს გარეშე დარჩნენ.

კარგად ახსოვს მზიას როგორ ხატავდა მამა მთელი ორი თვე ლენინისა და სტალინის პორტრეტს, როგორ აჩუქა შვილს ხუთი მანეთი, როცა მან პირველად ლენინი დაწერა, როგორ მიყავდა გოგონები საპირველმაისოდ დემონსტრაციაზე და როგორ სნამდა იმისა, რისი ღალატიც დაბრალეს,

ბავშვობა არ ჰქონიათ გიორგი ჭოხონელიძის შვილებს, შინ და გარეთ ფეხაკრეფით, შეშინებულები დადიოდნენ, ეშინოდათ, უჭირდათ ახლობელთა ოჯახებში ფოტოებზე მელნით დაფარული მამის სახის ყურება, „სამშობლოს მოღალატის“ შვილის სახელი მძიმე ტვირთად აწვა მათ უსუსურ მხრებს.

და თითქოს უცნაურია, რომ იმ წლებში რეპრესირებულთა შვილების ძალზე დიდი უმრავლესობა მაინც პატიოსან, კეთილშობილ ადამიანებად დაიზარდნენ, მაინც შეინარჩუნეს ძალა და რწმენა სიკეთისა.

—მე გავიგე, ვინ იყო ერთი იმ სამთაგანი, ვინც მამა განირა—იგონებს ქალბატონი მზია—არ იყო ჩვენი ოჯახის შორებელი. ვიცოდი, მაგრამ მერჩივნა არ მცოდნოდა. მე ვიტანჯებოდი ამ ცოდნით...

...ჩვენი მშობლების თაობა შიშში დაზრდილი თაობაა, რომელთა თვალწინ უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ უახლოესი ადამიანები, იმსხვრეოდა სითბოს, სიკეთის, ნუგეშისა და თანაგრძნობის ყველა საზომი და ახლა, როცა შვილები ხშირად ვსაყვედურობთ მათ დუმილის გამო—ვართ კი მართლები იმ შიშით თვალებგაფართოებული თაობის წინაშე. რომელსაც თითქმის არ ჰქონია ბავშვობა?...

ნ. ცხვედიანი

„ნიჭი უნდა შეესწიროთ სამშობლოს, ღმერთს“

20-22 მაისს ცაგერის, ლენტეხისა და ყაზბეგის წმიდა ილია მართლის გიმნაზიის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს თბილისის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია მასპინძლობდა. სამი დღე, რომელიც ბავშვებმა ღედაქალაქში გაატარეს, დატვირთული და მრავალფეროვანი გამოდგა.

პროგრამის პირველი დღე განსაკუთრებით ამაღელვებელი, ემოციური და საპასუხისმგებლო იყო თითოეულისათვის. საქართველოს საპატრიარქოში მოსწავლეები მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, სადაც პატარა ლამაზი კონცერტი ჩაატარეს. სამივე გიმნაზიის მოსწავლეები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, პარმონიულად გადადიოდა ერთმანეთში სვანური, მოხევური და ლეჩხუმური სიმღერები და საგალობლები. ბავშვები დიდი მღელვარებით, საოცარი სიყვარულით წარმოთქვამდნენ ლექსებს სამშობლოზე, ღმერთზე... ღონისძიებას ესწრებოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავრეპისკოპოსი თეოდორე, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე, ცაგერის რაიონის გამგებელი თამაზ ქარსელაძე. გიმნაზიის მოსწავლეები მისმა უწმინდესმა დალოცა და ასეთი სიტყვებით მიმართა: **„ძვირფასო ბავშვებო, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა. ჩვენს დიდ წინაპარს უთქვამს: „როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა.“ აი, ეს არის ჩვენი უდიდესი საუნჯე და ამ საუნჯეს უნდა გავუფრთხილდეთ, საქართველოს უნდა გავუფრთხილდეთ, მე მინდა გისურვოთ: უფალი იყოს თქვენი მფარველი. ასევე მინდა გითხრათ, რომ ყოველი თქვენთაგანი არის გენიალური პიროვნება და ეს ნიჭი, რომელიც ღმერთმა მოგცათ თქვენ, უნდა გამოავლინოთ. ყველაფერი უნდა გაკეთოთ იმისათვის, რომ იპოვოთ თქვენი ადგილი ცხოვრებაში. მეცნიერი იქნებით, მიწის მუშა, სასულიერო პირი თუ ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანები, ბოლომდე უნდა გამოავლინოთ თქვენი ნიჭი და ეს ნიჭი, უნდა შესწიროთ სამშობლოს, ღმერთს, აი, ამას გისურვებთ, ღმერთმა დაგლოცოთ, გაიხარეთ, ქრისტე აღსდგა!**

ღღეს დიდი წმინდანის იოანე შეღაზნელისა და მისი მოწაფეების ხსენების ღღეა. ახლაც ზეღაზენში მივდივართ. თქვენთვისაც ვილოცებთ, საღამოს კი შევხვდებით მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, სადაც თქვენს კონცერგს ღაესწრები.“

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წელს მიეძღვნა კონცერგი, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში იმავე საღამოს ჩაგარდა, პირველები ცაგერის წმიდა ილია მართლის გიმნაზიის მოსწავლეები წარდგნენ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით (პედაგოგები ქნი რუსუდან ყურაშვილი და ეკატერინე ბენდელიანი). მსმენელის განსაკუთრებული აღფრთოვანება, აპლოდისმენტები დაიმსახურა გიორგი ცაბაძის უცნობმა სიმღერამ „ჩიგო-ჩიორა,“ რომელიც კომპოზიგორმა წლების წინ უსახსოვრა ბ-ნ მექი ყურაშვილს და მისმა ქალიშვილმა, ქალბაგონმა რუსუდანმა წარუდგინა მსმენელს. ამასთან, ისევე ქ-ნ რუსუდანის ხელმძღვანელობით ცაგერის გიმნაზიის მოსწავლეებმა ურთულესი სიმღერები შეასრულეს და როგორც მსმენელი აღნიშნავდა, საკმაოდ მაღალპროფესიულად.

ცაგერის გიმნაზიის მოსწავლეები ყაზბეგის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლებმა შეცვალეს, რომელიც უკვე ათეული წელია ფუნქციონირებს. მათ საკმაოდ დახვეწილი მასალა შესთავაზეს მსმენელს. ვუსმენდი ამ პაგარებს და გული სიამაყით მევსებოდა, ისინი ისეთივე მაღალი და ბუმბერაზი ზნე-ხასიათისანი არიან, როგორც იქაური ბუმბერაზი მთები. მათი ბუნების ხასიათის გაცნობას კი მყინვარწვერზე ასვლას ვადარებ.

ბოლო სიტყვა—და საკმაოდ საპასუხისმგებლო, სვანებს, ეკუთვნოდათ. ლენტეხის წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის, I და II საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ერთობლივად საოცარი პროფესიონალიზმით შეასრულეს სვანური „წმიდაო ღმერთო,“ „ლილე“ ... და დამაგვირგვინებელი შეუდარებელი სვანური „ფერხული,“ რომელსაც გადაჭარბებული ეპითეტებით შემკობა არ სჭირდება. კონცერტი დასრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით, რომელიც სამივე გიმნაზიის მოსწავლეებმა ერთობლივად შეასრულეს.

მე მხოლოდ ვიტყვი იმას, რასაც იმ ღღეს ყველა აღნიშნავდა: ძვირფასო ბავშვებო, ღია გაკეთილი, რომელიც თქვენ ჩაგიგარდათ და რომელსაც დიდი აღამიანები ესწრებოდნენ, წარმაგებულად დაასრულეთ! ფრიადი დაიმსახურეთ!

პროგრამის მეორე ღღე მოსწავლეთა გართობას მიეძღვნა; მათ საოცარი სიურპრიზი მოუწყეს. ცირკში და ზოოპარკში იმ ღღეს ბავშვები ძალიან „გადაიღალნენ.“ შემდეგი ღღეც საკმარისად დაგვირთული იყო. გიმნაზიის ყველა მოსწავლე წმ. სამების ტაძარში წირვას დაესწრო, შემდეგი მარშრუტი კი მცხეთისაკენ მიღიოდა. მათ სვეტიცხოველი მოილოცეს, შემდეგ სამთავროს ღედათა მონასტერი, სადაც დიდი სიყვარულით დახვდათ მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ღედა ქეთევანი და მონასტრის ღები, რომლებმაც ჩვეული სიყვარულით, სითბოთი მიიღეს ბავშვები, საჩუქრები გადასცეს მათ. ეს გახლავთ დასასრული ამ ღღეებისა, რომლებიც ბავშვებისათვის, მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის, გულშემატკივართათვის, მასპინძელთათვის „ღიდებული და მშვენიერი“ იყო. დამეთანხმებით, რომ გიმნაზიებს გულშემატკივარი ღღიდან დაარსებისა არ აკლდა. ამ ღღეების შემდეგ კი მათ ასობით გულშემატკივარი გაიჩინეს. განსაკუთრებით გვინდა აღენიშნოთ და მადლიერება გამოვხატოთ ბაღრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის ღირექტორის ბ-ნ პაატა ჩახნაშვილის, ზურაბ და ზვიად ლიპარგელიანების, ცაგერის რაიონის მაჟორიგარი ღეპუტატის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძისა და ცაგერის რაიონის გამგებელის ბ-ნ თამაზ ქარსელაძის მიმართ.

ღღეს, მართალია, ფორსირებულ რეფორმათა ორომტრიალში ვიმყოფებით, მაგრამ ამ ღღეების შემყურე გვჯერა, რომ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს, რომელთა მიზანი ზნეობრივად ჩამოყალიბებული განათლებული ქართველების აღზრდაა, მისაღები გახდება ზნეობაზე, ქრისტიანულ პედაგოგიკაზე ღამყარებული განათლების სისტემა და ღაღგება ღღე, როცა ისინიც, მსგავსად თომა მოციქულისა, შეღაღებენ უფალს: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

ბოლოს მისი უწმინდესობის ქადაგებიდან მოვიყვან ნაწყვეტს: „ცოდნა და რწმენა განუყოფელადაა დაკავშირებული და ავსებს ურთიერთს. როგორც ეკლესიის ცნობილი მასწავლებელი და ფილოსოფოსი კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე, როგორც არ არსებოს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე.“

მარინა სვანიძე

ცაგერის სამუსიკო სკოლაში

ბევრჯერ გვსმენია – მუსიკა სულს ალამაზებს, განწყობას ამაღლებს, ადამიანს ამშვიდებს, ამიტომაც სიამოვნებით მივიღეთ მიწვევა ცაგერის სამუსიკო სკოლიდან, სადაც პედაგოგ ქვეთევან დავითულიანის კლასის კონცერტი იმართებოდა.

საკონცერტო დარბაზში და მუსიკალურ სამყაროში მეგზურობას VI კლასის მოსწავლე ნინო მურცხვალაძე გვიწევდა. ბავშვებმა არაერთი საფორტეპიანო ნომერი შეასრულეს, მათ შორის: I კლასის მოსწავლემ; ანა კოპალიანმა გედიკე-სიმღერა, კორენევსკაია „წვიმა, I კლასის მოსწავლემ, თამარ ხვადაგიანმა: რუსული სიმღერა – „კალინკა“, III კლასის მოსწავლემ, მარიამ ჩაკვეტაძემ: მილორავა – „ეტიუდი“, ფარცხალაძე – „ეტიუდი“, IV კლასის მოსწავლემ, თეონა ჩაკვეტაძემ: შავერზაშვილი – „ტყეში“, ხატაჩურიანი – „ანდანტინო“, IV კლასის მოსწავლემ, გიორგი საღინაძემ: ცაგარეიშვილი – „მოხეტიალე მუსიკოსი“, შუმანი – „ყოჩაღი ცხენოსანი“, V კლასის მოსწავლემ, ნინო ბრეგვაძემ, კაბალევსკი – „რონდო ტოკატა“, ალექსანდროვი – „რუსული ხალხური მელოდია, VI კლასის მოსწავლემ, ნინო მურცხვალაძემ: დავითაშვილი – „საზეიმო სვლა“, ბეთჰოვენი – „ელიზეს“.

ბავშვები ცდილობდნენ უშეცდომოდ, შესრულებით გადმოეცათ ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები, რითაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს. ბოლოს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა მონიკა სვანიძემ მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა.

კონცერტს ესწრებოდნენ მუსიკალური სკოლის დირექტორი ქალბატონი რუსუდან ყურაშვილი, მოადგილე ქალბატონი ნარგიზა ალავიძე და სხვა პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები.

ქალბატონმა რუსუდანმა დადებითად შეაფასა კონცერტი, მან აღნიშნა, რომ ეს არ იყო სავალდებულო კონცერტი, ასეთი კონცერტი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა კლასი ძლიერია, სწორედ ასე გახლდათ ქეთევან დავითულიანის კლასის შემთხვევაში. ზოგი ბავშვი კარგია, ზოგი ძალიან კარგი, ფაქტია, რომ ცუდი არცერთი არ არის, აღნიშნა მან, რისთვისაც მადლობა მოუხადა პედაგოგებთან ერთად, მშობლებს – ხელშეწყობისათვის. „სწავლის პერიოდი აქ ძალიან რთულია, შედეგია ბოლოს სასურველი, დღეს, როცა თანამედროვე ესტრადამ თითქმის წალეკა მუსიკალური სივრცე, კლასიკური მუსიკისკენ მისწრაფება, არავის აწყენს“.

ქალბატონმა რუსუდანმა დიდი გულისტკივილი გამოთქვა შენობის მოუწესრიგებლობის გამო, რაც ერთი შეხედვითაც კი თვალში საცემია, ჩამონგრეული კედლები, აყრილი იატაკი, ჩაბნელებული დარბაზი, რომლის გამშვენიერებისთვისაც პედაგოგებს ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ.

შენობა ახლახან დაიხურა, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და ესთეტიკურ სიამოვნებას რომ თავი დავანებოთ, მსხვერპლის საშიშროებაც კი არის.

იმედი გვაქვს, ჩვენი მთავრობა გაითვალისწინებს პედაგოგების, მშობლების გულისტკივილს და ადგილს, სადაც ათობით ახალგაზრდა ეუფლება ჭეშმარიტ მუსიკას, შესაფერისს გახდის.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ცაგერის სამუსიკო სკოლას ამ მშვენიერი დღისათვის.

თამარ დავითულიანი

ჩვენი საამაყო წინაპრები

კაცი ნათელი

იარებოდა ნათელი კაცი სოფლად. შთამბეჭდავი, ინტელიგენტური ხიბლით, განსხვავებული აზროვნებით და მონუმენტური ფიგურით. კონკრეტულად და დინჯად მოსაუბრე, რომლის წინაშე ოპონენტი კი არა, ასაკიც უკან იხევდა. ეს პიროვნება ლაილაშის მკვიდრი და მისი დიდი მოამაგე გალაქტიონ ექვითიმეს ძე ჩაჩხიანი იყო.

მღვდლის ოჯახში დაბადებული, ძველ ყაიდაზე განსწავლული, მშენებელი ინჟინერი იყო, ღრმად ფლობდა საღვთო სჯულს, შთამბეჭდავი, ხავერდოვანი დვრინი ჰქონდა.

სოფელში მშობლების გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა, ოჯახი თბილისშიც ჰქონდა, სადაც მისი ვაჟიშვილი, მეტრომშენებლობის გახმაურებული ინჟინერი ნიკოლოზი (კოლიუშა) ცხოვრობდა ოჯახით. ხშირად მამაც იქ იყო. მათ ბევრი ლაილაშელი დააკვალიანეს და აზიარეს ქალაქურ ცხოვრებას. სოფელში მსახური ქალი ჰყავდა ე.წ. „ოლია რუსი“. გალაქტიონი ლაილაშის სკოლაში ბავშვებს რუსულ ენას აუფლებდა. თავიდან მკაცრი, მომთხოვნი ყოფილა, ერთ შემთხვევას კი ძალზე დამთმობი გაუხდია და ასეთივე დარჩენილა ბოლომდე ჩვენი „გატო-ძია“.

ჩვენი წერილის მიზანია არა მისი პედაგოგობა, არამედ გალაქტიონი, როგორც სოფლის მშენებელია მოამაგე. ჩვენ რომ წავალთ, მომავალმა თაობამ მინდა იცოდეს, რომ სოფელს ჰყავდა ასეთი კაცი, მოამაგე და გულშემატკივარი, რომ მას დავიწყება არ ეკადრება. ის უანგარო კაცი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მას შესანიშნავი ოჯახი და მრავალრიცხოვანი სანათესაო ჰყავდა; თავს ქუდბედნიერ კაცად არ თვლიდა. ახალგაზრდობაში მოწამვლით ჭაბუკი შვილი დაღუპვია, რომლის დარდს მეუღლეც მალე გადაჰყოლია, რომელთა გვერდით თვით გალაქტიონიც განისვენებს. ეს ტრაგედია მთელი სიცოცხლის მანძილზე ცივ დარდად ედო გულში განსვენებულს.

დღესაც ბევრია მომსწრე და მოწმე იმისა, რომ ე.წ. ყოფილი სარეწაო სახლი, კლუბ-კანტორა და სავაჭრო შენობა უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული. ამჟამად აღარც ერთი მიზნობრივად აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ ჟამთა სიავეს ესენი კი არა, გიგანტები ვერ გადურჩნენ.

აქ მთავარია მოვიაზროთ, რამდენი ენერგიის ძალისხმევის, რამდენი ბარიერისა და კორდონის გარღვევა მოუხდა ნათელ კაცს, რომ უკვე ღონეგამოლეული და ჭირვეული ძველი ხელისუფლებისათვის ამოდენა ობიექტები გამოეტაცებია, რომლებიც ყველაფერში ძუნწობდნენ, გარდა იდეოლოგიური ბაქი-ბუქისა და მშრალი დაპირებებისა. თუმცა მათ წინ იდგა რკინისებური ლოგიკისა და ნებისყოფის კაცი, რომლისთვისაც მიზანთან მისასვლელად არ არსებობდა არავითარი ზიგზაგები და მოხვეულები, ის შურდულივით პირდაპირი იყო. ასეთი პრინციპულობისა და თვისებების გამო ლეთარგიაში ჩავარდნილი ბევრი ბიუროკრატისათვის არასასურველ პიროვნებად ითვლებოდა, მაგრამ მას ზევითაც ჰყავდა მომხრეები და

გვ.6

იური ჩარკვიანის ხსოვნა

ჩემო უზომოდ მონატრებულო შვილო, იური, ჩემო სევდა და მოუშუშებელო ტკივილო, 2004 წელს ნოემბრის ერთმა ჩვეულებრივმა დღემ საშინელი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ოჯახს. 17 დღის განმავლობაში რეანიმაციულ განყოფილებაში სიკვდილს ებრძოდი, შვილო. მაგარმ ულმობელმა სიკვდილმა წამართვა შენი ლამაზი სიცოცხლე. დავრჩით მარტო უსაშველო მონატრებასთან ერთად. უშენოდ სიცოცხლის აზრი დაკარგა გაოგნებულმა მამაშენმა, უშენოდ აღარაფერი ახარებს შენს საფიცარ დაიკოს ირინას.

ძნელია, შვილო, უშენოდ ცხოვრება, ფიქრი, რა ცრემლიანი ყოფილხარ, შვილო, რა საშინელი დედობა მარგუნა განგებამ. ვინ იფიქრებდა თუ ასე გაგიფრინდებოდი ხელიდან, ექვსი თვეა უშენოდ გაყინულია არემარე ჩვენთვის. ყველგან დაგეძებ შვილო, ყველგან თვალწინ მიდგახარ, მალე არდადეგები დაიწყება, ჩემო საფიცარო, სად, სად დაგელოდო;, დედიკო, იქნებ მეგობრების ჩამოყვანა გინდა, შვილო, ჭიურჩულებ, ჭიურჩულებ და ვაი, რომ ამაოა ყველაფერი.

ჩემო იური, შენ ხომ უსაზღვროდ აფრქვევდი ირგვლივ სითბოსა და სიყვარულს. შენ ხომ სულით და ხორცით ლამაზი იყავი, შვილო. შენი მოკრძალებული ღიმილით, ლამაზი გარეგნობით ხომ ასე ალამაზებდი ირგვლივმყოფთ. შენ ხომ უსაზღვრო შრომა და ერთგულება შეგეძლო. შენ ხომ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სამაგალითო ახალგაზრდის სახელი დიმკვიდრე, შვილო.

რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეგეძლო ქვეყნისათვის, ოჯახისათვის, მეზობლებისათვის, მეგობრებისათვის. რამდენი ლამაზი ოცნება დაგრჩა აუსრულებელი, დედა მოგიკვდეს, ჩემო ნათელთვალება ვაჟკაცო, რომ არ გეღირსა კაცური ცხოვრება, ოცნებების ახდენა, პირველი სიყვარულით ტკბობა.

დავრჩით მე, მამაშენი და ირინა სულში ჩაკირული მძიმე ტკივილით, უსასრულოდ გეჩურჩულები, შვილო, შენი ერთი შეხებისათვის უყოყმანოდ ჩავდგებოდი ცეცხლში, დედა, შენი ერთი დანახვისათვის უყოყმანოდ ამოვიშანთავდი თვალებს, შვილო, ჩემო ბროლივით სუფთა ვაჟკაცო...

თვალწინ მიდგას, დედიკო, შენი გატანჯული სხეული, არა, შენ ასეთი არ იყავი, შვილო, შენ ხომ სულ მუდამ მომღიმარი, მხიარული, სიცოცხლით სავსე, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, ალალი ბიჭი იყავი, დედა!

ვაი, რომ უკვე მოგონებად იქეცი, შვილო, ვაი რომ უშენოდ მოვიდა გაზაფხული და შენი დაბადების დღე — 28 მაისი. 19 წლის გახდებოდი, ჩემო ცხოვრების დამსხვრეულო იმედო, ჩემო გატანჯულო სიცოცხლეე, გილოცავ, დედიკო დაბადების დღეს, მაგრამ რა ვქნა, რა გისურვო, შვილო, რით დაგილოცო არარსებული ცხოვრება.

შენი დატოვებული სიკეთე გაგინათებს მარადიულ სასუფევლის გზას. ცრემლებით საავსენი, გულმოკლულნი ვანთებთ წმინდა სანთელს შენს საფლავზე. ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის, რომელმაც ასე ადრინად დაიმკვიდრა ზეციურ სასუფეველში ადგილი.

მშვიდად იძინე, შვილო იური, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა...

შენი გატანჯული დედა

მურად მუკბანიანის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა... ორმოცი გაუსაძლისი ტკივილით გაჟღენთილი დღე... აუტანელია უშენობა მურადი, იმდენად აუტანელი, რომ მხოლოდ მოგონებებიღა გვაცოცხლებს. ჯერ კიდევ გვაძლევს ძალას შენი სითბო, სიყვარული და სიკეთე, ალბათ ეს გვაძლებინებს.

„ბედნიერია კაცი, ვისაც თავისი განვლილი ცხოვრების არ ეშინია“ – შენც სწორედ ასეთი იყავი: ალალმართალი, წყნარი, უღალატო კაცი...

შენთვის ყოველი წუთი ოჯახის, ახლობლების, შენი რაიონის ზრუნვით იყო სავსე. სხვების გასაჭირსა და სიხარულსაც უსაშველოდ იზიარებდი და განიცდიდი. ნაადრევად გიმტყუნა საოუთმა გულმა.

ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ შენით! იმდენი სიკეთე და სიყვარული დაგვიტოვე, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ჩვენ კი ყოველთვის ვილოცებთ და შენს სულს შეევედრებთ უფალს.

ოჯახი

რომან მანდარიას გახსენება



შენ, ჩემი მოურჩენელი ტკივილი და თვალცრემლიანი სევდა ხარ. 15 წელი მიიწურა, რაც ვაჟკაცური სული მარადიული სასუფევლის მკვიდრი გახდა! რამდენი სურვილი და ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი, შენი ერთადერთი ვაჟიშვილის გაზრდა, დავაჟკაცება შენებურად, მისი მომავალი! უშენოდ თითქოს დაცარიელდა ჩემთვის სამყარო, მაგრამ შენზე ფიქრი მარად ჩემი თანამდევია და ჩემი სიცოცხლის ბედისწერა! ხანდახან ასე მგონია, თითქოს ცოცხალი ხარ, ისევ შენთვის დამახასიათებელი ყვირილითა და ვაჟკაცობით შემოაბიჯებ ჩვენს ეზოსა და სახლ-კარში.

რომანი, ამ ქვეყნად რჩება შენს მიერ გაკეთებული სიკეთე, რომელიც შენს ვაჟკაცს თითქმის ყოველდღე ესმის და ახლა აღიქვამს, რა ბურჯი დაკარგა შენი სახით მან.

ჩემო საყვარელო, შენ ჩემი დაკარგული სიხარული ხარ! ასე რატომ გამწირე?! რატომ დამაკენტე და მარტო შემატოვე ამ დუხჭირ წუთისოფელს! ამხელა პასუხისმგებლობით გაძღოლა შვილის მომავლისა და დატოვებული მტერ-მოყვრისა, ძალიან ძნელია – უშენოდ! ძალიან მენატრები, რა მაფიქრებდა შენ არ მეყოლებოდი და ცხოვრების სადავეებს მე ავიღებდი ხელში, მაგრამ დავრწმუნდი ეხლა, რომ ღმერთსაც კარგი სდომია!

გწამდეს და გჯეროდეს ერთი წმინდა სანთელს ყოველთვის ავუნთებ შენს ლამაზ სულს!

დრო მიდის, მაგრამ ეს ვერ გამოდგა მკურნალი შენი ოჯახის წევრების გულს დამჩნეული იარასათვის. ჩემო რომან, ძნელია საყვარელ ადამიანზე წარსულ დროში წერა, გახსენება იმისა თუ როგორი იყავი და როგორი ხარ ეხლაც...

რომანი! გწამდეს შენს ცხოვრებაზე სიცოცხლე გრძელდება, ხატებივით შვილიშვილები გვყავს, ლიკა და ეკა მანდარიები, რომლებიც ყოველ წუთში არიან შენი სახელის მახსენებელნი. შენ რომ ეხლა ჩვენს გვერდით იყო, მათზე და ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა! ძნელია უშენობა, მაგრამ მაინც ვცოცხლობთ...

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს განუხორციელებელი ოცნებების ვაჟკაცო!!!

მეუღლე

გივი ქარსელაძე, ამირან ჭაბუკიანი, თამაზი ყურაშვილი, თემური ახვლედიანი, ნური ხეცურიანი, მამუკა ჩაკვეტაძე, კოსტა ღურჭუმელიძე, ნოდარ, შალვა, ალექსანდრე ცვარნები თნაუგრძნობენ შურა, ოთარ ყურაშვილებს მულისა და დის

გარდაცვალების გამო.

ომისა და შრომის ვეტერანი, დამსახურებული პედაგოგი გრიშა ახვლედიანი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი სულიერი მეგობარი

ჯაჯუ ჭაბუკიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კაცი ნათელი

(დასასრული)

რაც მთავარია უყვარდა სოფელს, რომელშიდაც ხალხი ანგარებას კი არა, მოამაგეს ხედავდა.

და რაოდენ გულსატკენია, რომ ლომის ხახიდან ამოგლეჯილი ეს ობიექტები, რაიონის მაშინდელმა მესვეურებმა სხვისთვის მოინდომა და ისევ ამოძრავდა შურის ჭია, რომელიც საუბედუროდ ყოველ კრიტიკულ მომენტში გამოცოცხლდებოდა ძველსა და ახალ ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის. ასე აჭიანურებდნენ მშვენებლობის დაწყებას და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ იგივე გალაქტიონის მეშვეობით, ზემოდან მკაცრად არ დაუქნიეს თითი და იძულებული გახდნენ საქმე დაძრულიყო მკვდარი წერტილიდან. ერთმა, ღმერთმა იცის რამდენი დავიდარაბა გადახდა გალაქტიონს საერთოდ და განსაკუთრებთი სავაჭრო სახლის მშენებლობის პროცესში, რომლის აშენება განსაკუთრებით არ ეხატა გულზე რაიონის მაშინდელ მესვეურთ, მაგრამ რადგანაც გალაქტიონმა ბრძანა, რომ ლაილაში ლეჩხუმის პირველი სავაჭრო ცენტრი იყო ეს შენობა აქ უნდა დაიდგასო, წინ ვერავინ გადაეღობა. ასეთი კაცი ჰყავდა სოფელს.

ის რაც ითქვა ამ ნათელ კაცზე, მხოლოდ ერთი ფურცელია მისი ცხოვრების დიდი წიგნიდან. ძნელია ჩამოთვალო მისი ამაგი სოფლის გზებზე, მის გამწვანება-კეთილმოწყობაზე, წყლებზე და რაც მთავარია ზრუნვა ადამიანებზე, მათი უფლებების დაცვის მიზნით.

ასეთ კაცს სოფელი არ დაივიწყებს, მისი სახელი და საქმენი თაობიდან თაობას გადაეცემა და მარადისობაში გადავა.

ღმერთმა დაუმკვიდროს მის ნათელ სახელს სასუფეველი, გვიმრავლოს ასეთი კაცები სოფლად.

უფალმა აცხოვნოს სული მისი აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ნოდარ მესხაძე
ლაილაში

გმადლობთ, განუელი დახმარებისათვის!



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, ჩვენთან საუბრისას, ქალაქ ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე ბეჟან ღურჭუმალიძე სხვა პრობლემებთან ერთად, ჩვენთან საუბარში შეეხო კეჭინარის ღელის საკითხს. აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმში მომხდარ სტიქიურ მოვლენებამდე დაიწყო კეჭინარის ღელის გაწმენდა ქვა-ღორღისაგან და მისი ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ფინანსდებოდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის მიერ. თუმცა, გაუთავებელმა წვიმებმა ხელახლა ამოავსო ღელე ჩამონაშალით, მაგრამ ჩატარებულმა სამუშაოებმა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა გადაარჩინა დატბორვას.

ახლახან, ჩვენს ქალაქში იმყოფებოდა აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც დაათვალიერა აღნიშნული ტერიტორია და მზადყოფნა გამოთქვა გარკვეული, ხელახალი სამუშაოებისათვის.

ცაგერის მოსახლეობა და ქალაქის საკრებულო მადლობას უხდის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისს დახმარებისათვის და შემდგომშიც იტოვებს მისი თანადგომის იმედს.

26 მაისს მიეძღვნა

სპორტი

ქ. ცაგერში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით.

მასობრივ გარბენაში მონაწილეობა მიიღო 120-მა მორბენალმა.

ვაჟთა შორის Iადგილზე გამოვიდა ლევან საღინაძე — ქვედა ცაგერის საშუალო სკოლა.

მეორე იყო ზურიკო გოლეთიანი (ლაჯანის საშუალო სკოლა), მესამე ადგილი წილად ხვდა შალვა კვირიკაშვილს (ჩხუტელის საშუალო სკოლა).

გოგონათა შორის შემდეგი შედეგი დაფიქსირდა

I— სოფო მეშველიანი (ცაგერის საშუალო სკოლა).

II — ნინო ლეთოდიანი (ჩხუტელის საშუალო სკოლა).

III— ხატია კვირიკაშვილი (ჩხუტელის საშუალო სკოლა).

მკლავჭიდში — აბსოლუტურ პირველობაში გაიმარჯვა ოთარ გაბისონიამ (ცაგერის საშუალო სკოლა), მეორე ადგილი წილად ხვდა გოგა გუგავას (ბარდნალის საშუალო სკოლა), მესამე ადგილი მოიპოვა ბაჩუკი ჩაკვეტაძემ (ბარდნალის საშუალო სკოლა).

სიმძიმეების აწევაში — ადგილები ასე განაწილდა:

I—ადგილი — ალეკო ფალავანდიშვილი (ბარდნალის საშუალო სკოლა).

II — ადგილი — ოთარი გაბისონია (ცაგერის საშუალო სკოლა).

III— ადგილი — თორნიკე ლეშკაშელი (ორბელის საშუალო სკოლა).

ჭადრაკში ბლიცტურნირში გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა

I — ქეთევან საღინაძე (ცაგერის საშუალო სკოლა).

II — თეონა საღინაძე (ცაგერის საშუალო სკოლა).

III — რუსუდან გიორგობიანი (ლაილაშის საშუალო სკოლა).

ვაჟთა შორის შემდეგი შედეგი დაფიქსირდა

I— ნიკა საღინაძე (ცაგერის საშუალო სკოლა).

II — ავთო მახარობლიძე (ლაცორიის საშუალო სკოლა).

III— იმედა ქლიბაძე (ლაჯანის საშუალო სკოლა).

მასობრივმა სპორტულმა ღონისძიებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს გადაეცათ ახალგაზრდობის დეპარტამენტის რაიონული განყოფილების სამახსოვრო საჩუქრები და სპორტკომიტეტის სიგელები.

მოსწავლეთა სპარტაკიადაგე

გაიმართა **ფრენბურთელთა** შეჯიბრებები. ცაგერის ზონაში.

გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა

I— ადგილი ოყურეშის საშუალო სკოლა.

II — ადგილი ჩხუტელის საშუალო სკოლა

III— ადგილი ცაგერის საშუალო სკოლა.

ვაჟთა გუნდებს შორის ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

I— ადგილი — ქვედა ცაგერის საშუალო სკოლა

II — ადგილი — ზუბის საშუალო სკოლა

III— ადგილი — ცაგერის საშუალო სკოლა

სპარტაკიადა გრძელდება.

ვლოკია შკუბულიანი,
ცაგერის ბავშვთა და მოზარდთა სპ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

მატჯი ლეჩხუმს

ქ. გორში ქვეყნის პირველობაზე გამართულ ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში თავი ისახელა ცაგერის ა. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლემ **თემურ ვალერიანის ძე ახვლედიანმა** (მწვრთნელი: სპორტის ოსტატი — კობა ქომეთიანი).

თემურმა მხოლოდ ფინალში წააგო და მოიპოვა საპატიო მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი. ვულოცავთ მას ამ წარმატებას.

ასპარეგობა კალათბურთში

. რომელიც ქ. ცაგერის გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა, რაიონული ტურნირის ეგიდით მოეწყო.

ფინალურ შეხვედრაში ქ. ცაგერის გუნდმა დაამარცხა ორბელელი კალათბურთელები 46:45 და დაეუფლა სპორტკომიტეტის გარდამავალ პრიზს.

III— ადგილი წილად ხვდა ცაგერის საშუალო სკოლის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდს.

კალათბურთელთა ტურნირმა ცხადყო, რომ რაიონში სპორტის ეს სახეობა გამოცოცხლების გზაზეა, რაც კარგი პერსპექტივის საწინდარია.

„ხვამლი" პრიზიორთა შორის

დამთავრდა ჭაბუკთა შორის ვ. დარასელიას თასის გათამაშების იმერეთის ზონალური პირველობა ფეხბურთში.

ცაგერის სტადიონზე ჩატარებულ ბოლო ორი ტურის შეხვედრაში „ხვამლმა" ჯერ „ქუთაისი-90" დაამარცხა 3:0, ხოლო შემდეგ სამტრედიის „სანა-ვარდოსთან" დაძაბული შეხვედრა ფრედ 0:0 ითამაშა, მოაგროვა 3 ქულა (10 — მოგება, 6 — ფრე



და 2 — წაგება) და ათ მონაწილე გუნდს შორის დაიკავა საპატიო III (მესამე) საპრიზო ადგილი.

ცაგერის „ხვამლის" ჭაბუკთა გუნდში (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი) არაერთი პერსპექტიული მოზარდი ფეხბურთელია, რაც მათ ნათელ მომავალს უსახავს დიდ ფეხბურთისაკენ.

გიორგი კვირიკაშვილი
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

რედაქტორი
ლამარ
დავითშელიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზამზენარ
ანელაძე

საგაზეთო კოლეგია:
შეა ფცერილიანი,
ქარინა სვანიძე,
მარა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47 ტელ. 22-88

„გაზეთი ითწყო" დაბეჭდილია და
ოფსეტური წესით დაბეჭდილა
ქუთაისის ს/ს
„მანდარინის სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499